

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 423  
15/09/2015

423-07-3-201509151523



## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

### **1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

პროგრამის მიღების მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური ფონის გაუმჯობესება. საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები სოციალური დახმარების ხელშეწყობის დამკვიდრების მიზნით. პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 70 000-დან 100 000 ქულამდე, დახმარება ელექტროენერჯის საფასურის თანადაფინანსება, თვიურად არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით.

პროგრამის მიღება მიზანშეწონილია ლარის დევალვაციის, მოსალოდნელი ზამთრის და არსებული მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე.

სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ შეფასებული მოსახლეობის მდგომარეობა 100 000 ქულამდე დიდად არ განსხვავდება იმ მოსახლეობისგან, რომელთა მდგომარეობა შეფასებულია 70 000 ქულამდე. დღეისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2 409 ასეთი მოსახლეა, რომელთა თანადაფინანსება წლის ბოლომდე სავარაუდოდ 100 000 ლარს შეადგენს.

## **2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. ვინაიდან პროექტი გარდამავალია და ამასთანავე დაკავშირებულია დიდ ფინანსებთან, ამიტომ მიმდინარე წელს ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლის ზრდის დაფიქსირების შემთხვევაში პროექტი განხორციელდეს მიმდინარე წელს, ხოლო სრული მოცულობით განხორციელდეს 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

## **3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“ მიერ. საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ფრაქციის წევრის, კახაბერ ასკურავას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

## **4. პროექტის წარმდგენი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“.

ელგუჯა ჩხაიძე



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №  
2015 წლის სექტემბერი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge 03/02/2015 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016202) შევიდეს ცვლილება და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ პუნქტი:

„მ) შეჭირვებული მოსახლეობის ელექტროენერჯიის საფასურის თანადაფინანსების პროგრამა.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N6 განკარგულებაში ცვლილების  
შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N6 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლს დაემატოს მე-12 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„12. შეჭირვებული ოჯახების ელექტროენერჯის საფასურის თანადაფინანსების პროგრამა დანართი N12-ის შესაბამისად.“

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №  
2015 წლის სექტემბერი  
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

**მუხლი 2.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

## ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის --- სექტემბრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი; ტელ: 0494 22-30-09).

- 1 

<b>პროგრამის სახელწოდება:</b>	შეჭირვებული ოჯახების ელექტროენერჯის საფასურის თანადაფინანსების პროგრამა
-------------------------------	---
  
- 2 

<b>პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:</b>	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
--	--
  
- 3 

<b>პროგრამის მიზანი:</b>	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული ოჯახების დახმარება ელექტროენერჯის საფასურის თანადაფინანსებით, თვეში არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 70 000-დან 100 000-ის ფარგლებში.
--------------------------	--
  
- 4 

<b>პროგრამის აქტუალობა:</b>	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას.
-----------------------------	---
  
- 5 

<b>სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:</b>				
<b>მშენებლობა</b>	<b>სოც.უზრუნველყოფა</b>	<b>ჯანმრთელობა</b>	<b>სპორტი</b>	<b>სხვა (მიუთითეთ)</b>
<b>ტრანსპორტი</b>	<b>უსაფრთხოება</b>	<b>ინფრასტრუქტურა</b>	<b>ეკონომიკა</b>	
  
- 6 

<b>პროგრამის აღწერა:</b>	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობა, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 70 000-დან 100 000-მდე, ყოველთვიურად მიიღებენ ელექტროენერჯის საფასურის თანადაფინანსებას არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით. 2015 წლის მონაცემებით სავარაუდოთ პროგრამით ისარგებლებს 2 409 ოჯახი.
--------------------------	--
  
- 7 

<b>პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება</b>		
<b>საკუთარი უფლებამოსილება</b>		<b>დელეგირებული უფლებამოსილება</b>
  
- 8 

<b>პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:</b>	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
---	--------------------------

9	კავშირი სხვა პროგრამებთან სოციალური დაცვის პროგრამები		
10	პროგრამის სტატუსი:	ერთწლიანი	ახალი მრავალწლიანი
11	პროგრამის განხორციელების ვადები:		
	დაწყება:		დასრულება:
12	გადახდა		
	ამოცანა 1.	ფინანსური დახმარება	დონისძიება 1 ყოველთვიურად თანხის გადარიცხვა
13	პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:		
	№	დასახელება	სულ
	1	ერთი საბიუჯეტო წელი	24 090 ლარი
14	მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:		
	1	პროგრამა სამოქალაქო საზოგადოებიდან შეფასებულია დადებითად	
15	მოსალოდნელი შედეგები:		
	1	შეწირვებული მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფა	
16	მოსარგებლეთა შერჩევის წესი:		
	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 70 000-დან 100 000 ქულამდე. გადაწყვეტილება მიიღება სამსახურის დასკვნის საფუძველზე. შენიშვნა: პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსდება ელექტროენერჯის ტარიფის ზრდის შედეგად მომატებული საფასური არაუმეტეს 10 ლარისა.</p>		



17 **თარიღი:**

18 **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი  
თ. ფირცხალაიშვილი/

19 **შეთანხმებულია:**

იურიდიული სამსახური:	/შ. ჩაგუნავა/
საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური	რ. ლაშხია